

A. Jav


გამოცემა „სორაპანიხა“

როგორ გაჩნდა
ფულის ხმარება

თარგმანი
იათეოზ ბერაძისა.

ქ. თბილისი.
სტამბა „სორაპანი“

1917 წ.



როგორ გაჩდა ფულის ხმარება

ფული, ეს ის ჯადოს ჯოხია, რომელიც, თუ ხელში აქვს ადამიანს, შეძლებას აძლევს, ~~თუ~~ უჩინარ სულთა ძალით არა, სხვისის შრომის ნაყოფით მაინც ისარგებლოს. ფულის ფასიც სწორედ ეს არის. ვისაც ჯიბეში ერთი მანათთანი აქვს, იმას უკვე შეუძლიან დაეპატრონოს სხვის შრომის რამოდენიმე ნაწილს, რაღაც ყოველივე, რასაც ჩვენ ფულით ვყიდულობთ. სხვის ხელის გამრჯელობისა და შრომის ნაყოფია. ფული, საშვალებაა, რომლის მეოხებითაც ერთი ჰშრომობს მეორესათვის და იმავე დროს, თავისთვისაც. ამ გვარად, ფული ის კაცშირია, რომლის მეოხებითაც, თვით-მოყვარეობა და გრძნობა მოყვასისათვის ზრუნვისა, ერთმანეთთან აღვილად თავსდებიან: კაცობრიობის მდგომარეობა უფულოდ მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, რომ თვით-მოყვარეობა ან სულ არა ყოფილიყო ქვეყნად და ან ცხოვრებაში მარტო ის ყოფილიყო გაბატონებული. ვთქვათ, ერთმა იშრომოს მეორისათვის მუქთად, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენთვის ფულიც არ იქნებოდა საჭირო, მაგრამ ამგვარ სანატრელ დრომდის განა მიაღწევს კაცობრიობა? მეორეს მხრივ

38/228

ვთქვათ თითეულმა ოჯახმა საკუთრად იშრომა, როგორც ძველად იყო, მაგრამ, როდესაც კაცობრიობაში საზოგადოებრივი ცხოვრება შემოვიდა, ესეც შეუძლებელი გახდა; მართალია, ძველად შრომის განაწილება იშვიათი მოვლენა იყო; შრომას მხოლოდ ოჯახში ცოლი და ქმარი ინაწილებდა, მაგრამ ჩვენს დროში, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად როტული შეიქმნა, შრომის გაუნაწილებლად ცხოვრება შეუძლებელია, ხოლო ფული-კი შრომის განაწილების უსაჭიროესს კუთვნილებას შეაღვენს.

თერძი წელიწადში ორჯელ ტანისამოსს თუ გაცვეთს ხოლო ამვე დროს განმავლობაში იგი გაცილებით მეტს ჰკერავს, ამგვარად ის მეტს დროს სხვის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ანდომებს. რასაკვარველია, თერძი ამდენს დროს უსარგებლოდ არ დაჰკარგავდა, სამაგიეროს რომ არ მოელოდეს. ამ მეტ ტანისამოსისათვის ის მეპურისაგან პურს მიიღებს, მეჩექმისაგან—ჩექმას, მექუდისაგან-ჭუდს და სხ. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ თერძს დიდხანს არ შეეძლო ამგვარად ცხოვრება, მეპურე პურს იმ დრომდე მისცემდა, სანამ ტანისამოსი დასჭირდებოდა, და სანამ ეს ნაყიდი ტანისამოსი არ გაუცვდებოდა, ლუქმა პურსაც არ გაატანდა.

ამ გვარადვე მოქმედობნენ მეჩექმე, მექულე
და სხვებიც. აი, ამ შემთხვევაში რომ ფული
არ ყოფილიყი, თერძის ცხოვრება გასაჭირი
შეიქნებოდა, ასე რომ ის უნდა წასულიყო და
ეძებნა ისეთი კაცი, რომელსაც ტანისამოსი
სჭირდებოდა: ამასაც ისეთი ნივთი უნდა მიეცა
ტანისამოსში თერძისათვის, რომელიც მეპურეს
სჭირდებოდა, შემდეგში თერძი ამ ნივთს მე-
პურეს მიუტანდა და იმისაგან, პურს იყიდდა.
ამ გვარ ვაჭრობაში იმდენი დრო იხარჯებოდა,
რომ შრომაზედ კაცს ხელი უნდა აელო, და
უშრომლად-კი როგორლა უნდა ეცხოვრა?!

ამ გვარად შრომის განაწილება ძველ
დროში იშვიათი მოვლენა იყო. დავიწყოთ
ძველის დროიდგან და წარმოვიდგინოთ ის
ქვის ხანა, როდესაც ხალხი მარტო მიწის
მუშაობით სცხოვრობდა. ყოველს გლეხს მაშინ
ჰყავდა ცხვარი, ძროხა და სხვა წვრილმანი
შინაური პირუტყვი; ცოლი ცხვრის მატყლი-
სგან, ოჯახობას, ტანისამოსს უშზადებლა,
ქმარი კიდევ, ძროხის ტყავისაგან, ფეხსაცმე-
ლს ჰკერავდა, ძროხის ხორცისა და რძისგან,
საჭმელებს ამზადებდენ, პური თვით მოყავდათ,
ჭურჭელს თიხისგან აკეთებდნენ და თავისისვე
სახლის კერაზედ გამოსწვავდნენ ხოლმე, იარ-
აღს გლეხი ქვისა, ხისა და კაუისას თითონვე

აკეთებდა; ამ გვარად ყოველივე საჭიროება ოჯახისა, შინვე ჰქონდათ და რა საკვირველია, ფულიც არათერი საჭირო იყო, არამც თუ ფულით ყიდვა, ამ გარემოებაში, გაცვლით ვაჭრობაც შეუძლებელი ხდებოდა, რადგანაც გლეხი ოჯახში თერძიც იყო, მეპურეც, მეწულეც და სხვაც...

ამ დროს სოფელში ერთ მოსახლეს ისეთი რამ არ ექნებოდა, რაც მეორეს არ ჰქონდა; მდიდარსა და ღარიბს შორის, მხოლოდ რაოდენობითი გარჩევა იყო; მაგალითად: ღარიბს რომ სამი ძროხა ჰყოლოდა, მდიდარს ათობით ეყოლებოდა; ღარიბს რომ ათი ცხვარი ჰყოლოდა, მდიდარს ოცობით ეყოლებოდა დასძლევდა ის მდიდარს თავისს შრომას შესთავაზებდა, აქედგან იმდენს ხორაგს აიღებდა, რომ ოჯახსაც გამაჲკვებდა და თავსაც. მაგრამ ამ გვარი სხვასთან მუშაობა, ხშირად გრძელდებოდა, შთამამავლობითი ხდებოდა, ხოლო ეს კი უფრო მონობას ჰგავდა, ვიდრე შრომის ფულში გაცვლას. ამ დროს იყო ერთგვარი გაცემითი ვაჭრობა, რომელიც ცოტად წააგავდა ჩვენის დროის ფულით ვაჭრობას. მაგალითად, თუ ვისმე ქალი მოწონებოდა და სურდა შერთვა, მოიტაცებდა ხოლმე, მაგრამ მოტაცებაც ყოველ თვის აგრე ადვილი არ იყო, ამისთვის საჭირო

იყო სასიძოს საცოლე ეყიდნა. ჰასაკში მოსული ქალიშვილები ოჯახში დიდს განძს შეადგენდნენ და რამდენადაც ბევრი იყო ქალი ოჯახში, იმდენათ უფრო ბევრის მშრომელ მარჯვენით ჰსარგებლობდა ოჯახი; ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ იმ დროში ქალს იაფად არავის უთმობდნენ; სასიძოს უნდა ღირსეული ფასი მიეტანა სასიმამროსთვის. რომ იმას ქალი გაეტანებინა.

მეორე შემთხვევა ვაჭრობისა იყო გამოწვეული სისხლის სამართლით, მაგალითად: სისხლის აღების დროს თუ ვინმე მოჰკლავდა კაცს, მისი ნათესავები მაგიერს, სისხლითვე გარდაუხდიდნენ ხოლმე; მაგრამ ხშირად ესეც მოხდებოდა, რომ მკვლელი, დამკლის უფალთან ბოდიშს მოიხდიდა, სინანულს გამოაცხადებდა და თან საჩუქრებსაც მიართმევდა. მაგრამ რადგანაც მოკლულის ფასის აღნიშვნა პირველს ხანებში დამკლის უფლის სრულს უფლებას შეადგენდა ამიტომაც ჩეუბსა და უთანხმოებას მაინც დასასრული არა ჰქონდა. ბოლო ხანს მთავრობა ჩაერია, რომელიც კანონის ძალით მათ შორის თანხმობას ჩამოაგდებდა ხოლმე, მაგრამ მთავრობაც, რასაკვირველ ია, აფასებდა თავისს შრომას და იმანაც ამ განსამართლებისათვის სასკიდელი მოითხოვა.

სამსავე ზემო აღწერილ შემთხვევაში რაღაც ფულის მსგავსი იყო საჭირო; იფიქრეს, იფიქრეს და საზოგადო ფასის საწონ ნიშნად, დააწესეს შინაური პირუტყვი, ასე რომ სასიძოს, კაცის მკვლელს და მომჩივნებს უნდა მიეყვანათ სასიმამროსათვის, დამკლის უფლისა და მთავრბისათვის რამდენიმე სული შინაური პირუტყვი, მორიგებისამებრ, და ისინიც ამით კმაყოფილდებოდნენ. საქონელი, ფასის საზომ ნიშნად, იმისთვის ირჩიეს, რომ ამ დროს მიწა ყველგან ბლომად იყო, იარაღი და ავეჯეულობა ყველასა ჰქონდა, ხოლო შინაური პირუტყვი-კი ყველას ერთგვარად არ ჰყავდა. პირუტყვი ოჯახისათვის ამ დროს მიწაც იყო, პურიც, ტანისამოსიც, საჭმელიც, ერთის სიტყვით ყოველისფერი იყო და თითქმის ფულობას აწევინებდნენ. მაგრამ ეს მაინც არ უნდა ვითიქროთ, რომ პირუტყვს ფულის მაგიერობის გაწევა ყოვლის სისრულით შეიძლებოდა.

საზოგადო ფასის საზომი ნიშანი ისეთი რამე უნდა იყოს, რომ იმის, ერთგვარ უცვლელ ლირსებაში ყველა დარწმუნებული იყოს. ნიშანი რომელსაც ერთი აიღებს თავის ნაწარმოებში სხვამაც იმავე ფასად უნდა წაიღოს; ეს-კი შესაძლებელია მხოლოდ იმ საგნის შესახებ, რომლის ცალებიც, რამდენიც უნდა იყოს რიც-

ხვით, ერთისა და იმევე ლირსებისაა. მაგალითად, მე რომ სხვას ვერცხლის მანათიანი ვასესხო ჩემთვის სულ ერთია, მომიტანს მოვალე იმავ მანეთიანს, თუ სხვას, ისევ მანეთის ლირსებისას; იმიტომ რომ მანეთიანი ყველასთვის ერთია. მაგრამ მე რომ სხვას ძროხა ვათხოვო, და მან, შემდეგში ჩემი ძროხის მაგიერ სხვა ძროხის მოყვანა მოინდომოს, რასაკვირველია, დავფიქტ-რდები: მივიღო, თუ არა? ამისათვის რომ, თუმცა ყველა ძროხა, ძროხაა, მაგრამ ძროხასა და ძროხას შორისაც გარჩევა. ერთი ბევრს იწველის, მეორე ცოტას, ერთი დიდ ტანოვანია, მეორე პატარა ტანისა, ერთი— მსუქანია, მეორე მჭერე და სხვა. ამ გვარად პირუტყვი ყველა და ყოველთვის, ერთი და იგივე არ არის. აი, ამ მიზეზთა გამო პირუტყვი ვერასოდეს ვერ გასწი ვდა ეხლანდელ ფულობას. მართალია, ფულებიც შეიძლება ისე მოიხმარო შინაურ საჭმეებში როგორც პირუტყვი, ე, ი. ფულისაგან გააკეთო კოვზები, საყურე, ბეჭედი და სხვა რამე, მაგრამ როდესაც ჩვენ ფულს ვიღებთ რომელსამე გასასყიდის ნაწარმოებში ფული ჩვენ ამ შემთხვევაში კოვზებათ და საყურეებათ გადასაკეთებლათ კი არ გვინდა, არამედ იმით სხვა რაიმე საჭირო ნივთს შევიძენთ; მაგრამ თუ ფულს ამ დანიშნულებას ასრულებინებენ, მაშინ

იგი ჰკარგავს იმ თვისებას, რისთვისაც მას უველა ეტრთიალება. ხოლო პირუტყვი თუ მიჰყავდა გლეხს საფასად, იმას ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ სხვაც გამოართმევდა იმას თავისს საჭიროებაში, არამედ გლეხს პირუტყვი, თვით სჭირდებოდა ოჯახში, ან ხორცისა, ან ტყავისა და ან სხვა რამისთვის.

ამგვარი მდგომარეობა დროთა ვითარების გამო უსათუოდ უნდა შეცვლილიყო. გაჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრება, დაიწყეს შრომის განაწილება, და შრომის განაწილებას ხომ აღებ-მიცემობაც თან ახლავს. ამას ზედ იხიც დაერთო რომ ეხლა ქვის იარაღის მაგიერ ლითონის ია-რაღი და ავეჯი შემოილეს; ქვისა, ხისა და კაჟის იარაღის კეთება უველა გლეხს შეეძლო მაგრამ ლითონისაგან რომ რამე იარაღი გაეკ-თებინათ, ამას-კი განსაკუთრებულის ხელობის ცოდნა ეჭირვებოდა. ამ გვარად მოხელეთაგან პირველად მჭედელი გაჩნდა. რადგანაც მჭედ-ლის ხელ-საქმე ამ დროს ძლიერ ძვირად ჰქონ-და და ერთსა და იმავე ალაგს მყიდველი ცოტა იყო, ამისათვის მჭედელს ამ ერთის ხელობით ერთსა და იმავე სოფელში თავის რჩენა არ შეეძლო. იგი გააკეთებდა თუ არა ლითონის სხვა-და-სხვა სამკაულსა და იარაღს, რომელსაც ველურები ეტანებოდნენ, წაილებდა სხვა-და-

სხვა კუთხე-ქვეყანაში გასასყიდათ. ამ აღებ-
მიმცემობაში ძველებურ ფასის საზომს და საერ-
თო გასაცვლელს ნიშანს, პირუტყვს, უნდა
გაეწია სამსახური, მაგრამ აი, სწორედ აქ გა-
მოჩნდა მისი უვარგისობა. უცხო ქვეყნიდგან
მოსული ვაჭარი, ვაჭრობაში ხარს და ძროხას
ვერ აიყვანდა, იმიტომ, რომ სამშობლოში იმ
უცხო ვაჭრისთვის პირუტყვის წაყვანა ან
შეუძლებელი იყო და ან დიდს ხარჯსა და
ჯაფას მოითხოვდა; და ან რა იცოდა, რომ აქ
სავაჭროში აყვანილი პირუტყვი, იმავ ფასად
გაიყიდებოდა იმის სამშობლოშიაც. ამ მოსაგე-
ბით ვაჭარი ყოველთვის პირუტყვის მაგიერ
ისეთ რამ ნივთს თხოულობდა, რომელიც
მსუმბუქი და ადვილი წასაღები იყო
ხოლო ამ გვარ ნივთებად ითვლებოდენ: ბრი-
ტანიის კალა, ესპანიის ვერცხლი და ქარვა;
სადაც ესე ლითონები არ იყო, იქ ვაჭარი ჰყა-
ბულდებოდა მატყლს, ტყავს და სხვა ამ გვარ
საჭირო ნაწარმოებსაც.

სულ სხვა დიმოკიდებულება დამყარდა სო-
ფლად მჭედელთან მას შემდეგ, როცა ლითო-
ნის იარაღი ოჯახში უსათუო საჭიროებად გახ-
და. როდესაც ლითონის ხმარება სოფლად იმ-
დენად გახშირდა, რომ მჭედელს სხვაგან წაუ-
სვლელად, თავის სოფელშიც შეეძლო თავის

ხელობით ოჯახის რჩენა, მჭედელმა ხელი აიღო
მიწის მუშაობაზედ და ხელი მარტო განსაკუ-
თრებით მჭედლობას მოჰყიდა. პირველად გლეხი
მჭედელს შრომაში აძლევდა ტანისამოსს, ფეხ-
საცმელსა, კვერცხსა, რძესა, ხორცსა პურსა და
ოჯახისათვის სხვა-და-სხვა საჭირო ხორაგეუ-
ლობა- ნაწარმოებს; მაგრამ იმაზედ მეტი ხო-
რაგეულების მიღება რაც მას არ სჭირდებოდა
ოჯახისათვის, მჭედელს ალარ შეეძლო, პირუტ-
ყვი, რომელიც ფულის მაგივრობასა სწევდა
ძველად, ხელოსნისათვის ეგოდენს საგანძურს
არ შეადგენდა, როგორც მიწის მუშისათვის;
თუ მყიდველს სხვა არაფერი მოეძევებოდა სა-
ვაჭროს გასასტუმრებლად, მაშინ არც პირუ-
ტყვზედ იტყოდა უარს, მაგრამ ყველაზედ უფ-
რო მჭედელი აფასებდა იმ ნივთიერებას, რო-
მელიც მისს ხელობის მასალას შეადგენდა: პირ-
ველად ბრინჯაოს, ხოლო შემდეგ რკინას. ამი-
სათვისაც გლეხებს მჭედელთან სავაჭროში გა-
საცვლელად მოქონდათ ძველი, სახმარებლად
უვარგისი, ლითონის იარაღები და ნამტვრეები,
რაშიდაც მჭედელი შედარებისა დაგვარდ აძ-
ლევდა ახალს იარალს სამკაულს. რადგანაც მჭე-
დელი სოფლად ერთად ერთი კაცი იყო, რო-
მლისაგანაც გლეხს შეეძლო ეყიდნა ყოველივე,
რაც კი იყო მისის ოჯახისათვის საჭირო, ამი-

ტომაც საკვირველი არ არის, რომ მჭედლის
ხელობის მასალა თან-დათან ფასის გასასტუმ-
რებელ ნიშნად გარდაიქცა. ყველა დარწმუნე-
ბული იყო, რომ ლითონს ფასი არასოდეს არ
დაუარდებოდა. რა დროსაც კი მიუტანდა მჭედ
ვინმე, ლითონს იგი მასში ან იარაღს იძლეოდა,
ან მისის საჭიროების მიხედვით, ხორავეულო-
ბას, რომელიც იმისთვის საჭირო აღარ იყო.
ამ გვარად, ლითონი შეიქმნა საყოველთაო გა-
დასაცვლელ ნიშნად.

ამ გარემოებამ ძლიერ დააჩქარა ფულის ხმარე-
ბის შემოლება. ორი ხარი ერთმანეთისაგან უსა-
თუოდ რითიმე განირჩევიან და, რასვკვირვე-
ლია, კაციც მათგანს აირჩევს, მაგრამ ორი ერ-
თის და იმავე წონისა და ერთი გვარი ნაჭე-
რი ლითონი, რომელიც უნდა აირჩიო, ორივ
ერთია. ამას გარდა ლითონი ადვილი წასაღები
და შესანახავი იყო და არავითარს ხარჯს არ
თხოულობდა. დასასრულ, ლითონის უპირატე-
სობა ამ შემთხვევაში ისიც იყო, რომ იგი ნა-
წილებადაც ადვილად იყოფებოდა; წვრილმანი
ვაჭრობის დროს პირუტყვით რისიმე ყიდვა შე-
უძლებელი იყო. მაგალითად, რკინის ერთს
ლურსმანში მყიდველს ერთის ცხვრის მეასედი
ნაწილი მაინც უნდა მიეცა და ეს ხომ შეუძლე-
ბელი იყო, რადგანაც, სხვა-და სხვა ასო ცხვრის

ხორცისა სხვა-და-სხვა გვარად ჰქონია; გა-
რდა ამისა, ერთის ლურსმანისთვის მთელი
ცხვარი უნდა დაეკლათ. ლითონი კი რამდენ
ნაწილადაც უნდა გაგეუოთ, სულ ერთი იყო;
ჯერ ეს ადვილი საქმე იყო და მერე ოთხი მე-
ოთხედი რომელისამე გირვანქა ლითონისა იმ-
დენადვე ლირს, რაც ერთი გირვანქა იგივე ლი-
თონი; ამ გვარად თითოეული ნაჭერი შეიძლე-
ბოდა იქამდის გაენაწილებინათ, ვიდრე სასყი-
დელ ნივთის საფასოდ არ გახდებოდა. ამასთან
დანარჩენი ნაჭრებიც არც ფასსა და არც მნი-
შვნელობას არ ჰქარგავდა.

ამ გვარად, პირველ დაკვირვებისათანვე. ლი-
თონს, სამი უპირატესობა გამოაჩნდა: ადვილ
წასალებლობა, ერთგვარ ფასიანობა და ადვილ
დასანაწილებლობა, ერთი სიტყვით, ლითონი
გახდა ნამდვილ გარდასაცვლელ ნიშნად და
ღიღი ამაგიც მიუძღვის შემდეგში შრომის გა-
ნაწილებს განვითარების საქმეში.

მართალია ლითონის გადასაცვლელ ნიშნად
ხმარება უფრო ჩვენს ეხლანდელ ფულს წაგავს
მაგრამ საქმე ის იყო, რომ მაშინ წონა არ
იცოდნენ და ლითონების ნაჭრები ყოველთვის
ერთი და იგივე წონის არ მოღიოდა ამისათვი-
საც, სისწორე ვაჭრობაში აქაც შეუძლებელი
იყო; მართალია, ბრინჯაოს და რკინის მეტ-ნა-

კლებობის დროს გული არავის დააკლდებოდა, მაგრამ სულ სხვა საქმე იყო ოქროსა და ვერცხლის გადასაცვლელ ნიშნად ხმარების დროს; ამისათვის ჯერ ლითონს გაადნობდნენ და ერთი და იგივე სილრმის ყალიბებში ჩასხამდნენ, ხოლო მერე თანასწორ სიგრძეზე დასჭრიდნენ; ამ-გვარ ჯოხების მზგავსს ლითონს ფულად ჰემარობდნენ რომაელები; მაგრამ არც ეს აკმაყოფილებდა ვაჭრობის წვრილმან მოთხოვნილებას, ამისათვისაც გამოიგონეს სასწორი, დაიწყეს ხორბლის მარცვლებით წონა და ყველა ლითონს თანასწორი წონა მისცეს; ფულისათვის ამ დროს ხუთგვარ ლითონსა ხმარობდნენ: ოქროს, ვერცხლს, ბრინჯაოს, რკინას და სპილენძს. ამათ შორის რკინა როგორც იაფილითონი და მძიმე—ხმარებიდგან ადრე გამოვიდა, ხოლო სპარტაში-კი იგი კიდევ დიდხანს იხმარებოდა. სასწორის გამოგონების შემდეგ ლითონი გადიქცა ფულად, მაგრამ ეხლანდელ ფულისაგან იმითი განირჩევოდა რომ, მაშინ იგი გაუწმენდელი იყო და ყველა ნაკერი ერთისა და იმავე ღირსებისა არა დგებოდა. ამისათვისაც ლითონს დაუწყეს წმენდა, შემდეგ დარჯაკში სჭრიდნენ და ისე ჰემარობდნენ ვაჭრობის დროს. ფულის დარჯაკით მოჭრა მთავრობაზედ უფრო ადრე ვაჭრებმა სცადეს.

ბრიტანიის მდიდარ მუზეუმში ინახება ერთი, უძველესი ფული, რომელიც ქრისტეს დაბადებამდის 8 საუკუნის წინად ყოფილა მოჭრილი; ამ ფულის ერთს გვერდზე აღარაფერი სჩანს, ხოლო მეორეზედ ირემი ჰესატია და ზედ შემდეგი წარწერა აქვს: „მე ვარ განსაკუთრებითი ნიშანი ფენიკისა.. ვინ იყო ეს ფენიკი? არ ვიცით და ვერც გავიგებთ, ხოლო უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მდიდარი ვაჭარი ვინმე იქნებოდა. შემდეგში ვაჭრებს წაპბაძეს მეფეებმა და რესპუბლიკის მმართველებმაც და თითქმის ისტორიის დასაწყისშივე ვხდავთ ფულის ჭრასა და ხმარებას, რომელიც მარტო მთავრობის კუთვნილებას შეადგენდა.

იმის გამოსარკვევად, თუ როგორ განვითარდა ფულის მოჭრის საქმე შემდეგში, ჯერ ადგილი არ გვაძლევს ნებას და დაუსურათებლათაც გაუგებარი იქნება, მაგრამ ერთს გარემოებას მაინც უნდა შივაჭურით აქ ყურადღება, რადგანაც მას ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ჯერ ისევ წარსულ საუკუნეში იყო გავრცელებული ის შემცდარი აზრი, რომ ვითომც თითოეულ ფულისათვის საკუთარი დარჯავი ყოფილიყოს. ამ აზრის საფუძველად ის გარემოება მოჰყავდათ, რომ ერთის დამავე უძველესის ფულის ცალი იშვიათი სანახავ იყო, მაგრამ ეხლა

ამ გვარს ძველს ფულს ორ-ორსა და მეტსაც შველა დიდს მუხეუმში შეხვდებით. ეს იმით აიხსნება, რომ დარჯაკი ძველს დროში რკინისა იყო და ამ ლითონის სილბილისა გამო მაღა ფუჭდებოდა, ამიტომ ერთი და იგივე დარიჯაკი ბევრს ვერა სჭრიდა და იმის მაგიერ ახალს აკეთებდნენ. დარჯაკებს წინად მხატვრები სჭრიდნენ და ძვირადაც აფასებდნენ თავის ხელობას, ცს იქიდანა სჩანს რომ დარიჯაკზედ თავის სახელსა და გვარს აწერდნენ. აქედგან ადვილი ჭარმოსადგენია, თუ რა ძვირად ელირებოდა ფულის საჭრელი დარჯაკი და იმითი მოჭრილი ფული. ამიტომ დარჯაკით პირველს ხანს, რადგანაც იგი მაღა ფუჭდებოდა, მარტო ძვირფასის ლითონის ფულსა სჭრიდნენ, ხოლო სპილენძი დიღხნამდის ისევ ძველებურად ჯონის მსგავს ნიშნებით იხმარებოდა.

სპილენძის ფულის მოჭრა დაიწყეს მას შემდეგ (400 წ. ქ. დაბადებამდის), რაც სასყიდლათ შეიქმნა მცირე ფასიანი ნივთებიც, იმათ სასყიდლათ, თუნდ ერთი ქინძისთავის ოდენა ვერცხლიც რომ მიეცა, მყიდველი მაინც წაგებაში მოღიოდა. ამისათვის დაიწყეს სპილენძის ფულის მოჭრაც. ამ გვარად, ეს უბრალო. მაგრამ ვენოსური გამოგონება ზერძნებს ექვთვნის. ამ შემთხვევაში ისინი ჩვენი მასწავლე-

ბელნი არიან და მათგან გამოგონებულის ფულის ხმარება აკმაყოფილებს დღეს. კულტურის ყოველგვარ მოთხოვნილებას და ფართოდ განვითარებულ შრომის განაწილებას. მართალია, ტეხნიკის მხრივ ფულმა მას შემდეგ ბევრჯელ იცვალა გარეგნობა, მაგრამ საფუძველი მაინც ძველებური დარჩა.

33

8 459

ଓଡ଼ିଆ ଲାକ୍ଷ୍ମୀ ଦେଉରିଣୀ.